სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში

11 ივნისს სახელობის "დინამოს" სტადიონზე შესდგა ფეხბურთში სსრ კავშირის 1947 წლის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ლენინგრადის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის პირველი წუთებიდანვე თბილისელებმა განავითარეს თავბრუდამხვევი ტემპი. მე-3 წუთზე ლენინგრადელები დაჯარიმდნენ კარიდან დაახლოებით 20 მეტრის მანძილზე. სპარტაკ ჯეჯელავამ იშვიათი სიძლიერით გაგზავნა ბურთი სტუმრების კარისაკენ. ლენინგრადელთა მეკარემ ნაბუტოვმა სწრაფი ნახტომი გააკეთა, მაგრამ ამაოდ _ ბურთი ბადეში გაეხვია. მე-10 წუთზე ლენინგრადელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უკანონოდ "ჩაკეტეს" ბორის პაიჭაძე. ისინი კვლავ დაჯარიმდნენ, ამჯერად უკვე 11- მეტრიანი თავისუფალი საჯარიმო დარტყმით. ბ. პაიჭაძემ ზუსტად გაგზავნა ბურთი კარის მარჯვენა კუთხეში. მე-13 წუთზე ლენინგრადელებმა საჯარიმო დარტყმით შესძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა. თბილისელები კვლავ განაგრძობდნენ შეტევას და ტაიმის დასასრულამდე კიდევ ორი ბურთი გაიტანეს ლენინგრადელთა კარში.

ამრიგად, თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში 25-ე წუთზე მეკარე ნაბუტოვმა მოიგერია ძლიერად დარტყმული ბურთი, მაგრამ ბურთს მოუსწრო ღოღობერიძემ და მეხუთედ შეარხია სტუმრების კარის ბადე.

მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით, ანგარიშით _ 5:1.

აღსანიშნავია თბილისის "დინამოს" ფორვარდების შეთანხმებული, აზრიანი თამაში. შეტევა ფართო ფრონტით, ადგილების სწრაფი და საჭირო შენაცვლება, გაბედული დარტყმა კარებში _ აი რა ახასიათებდა თავდამსხმელთა ხუთეულის თამაშს. დაცვაში საუკეთესო იყო პანიუკოვი.

ამჟამად თბილისის "დინამო", რომელმაც 1? შესაძლებლიდან მოაგროვა 12 ქულა, ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე შეჯიბრებაში მეორე ადგილზეა.

ა. გოგოლაშვილი.
"კომუნისტი", 13 ივნისი, 1947 წ.